წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის

ო ქ მ ი №17

ქ. თბილისი *29.12.2008 წ.*

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2009 წლის ბიუჯეტის დამტკიცება.
2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურაში ცვლილებების შეტანა.
3. ქალაქ თბილისში, ზანდუკელის ქ. №16-ში ეკონომიკის საერთაშორისო სკოლისათვის კვების ობიექტის მოწყობის მიზნით ფართის იჯარით გაცემა.
4. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო პოლიმერული მასალების ინსტიტუტის შექმნა.
5. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო პოლიმერული მასალების ინსტიტუტის დებულების დამტკიცება.
6. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტების საბჭოს ფორმირების პროცედურის დამტკიცება.

სხდომას ესწრებოდა:

წარმომადგენლობითი საბჭო – 24 წევრი და დღის წესრიგის პირველ და მეხუთე საკითხების განხილვაში კანონმდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე მოწვეული აკადემიური საბჭო – 5 წევრით;

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გულნაზი გალდავა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე შოთა მინდელი, ფაკულტეტების დეკანები და ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები.

1. საქართველოს კანონის – „უმაღლესი განათლების შესახებ“ 24-ე მუხლის 1 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2009 წლის ბიუჯეტის პროექტი წარმოადგინა ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ქალბატონმა გულნაზი გალდავამ (იხ. დანართი)

აზრი გამოთქვეს: წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოების წევრებმა. გაიმართა მსჯელობა. საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ ფაკულტეტის დეკანები. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა დასვეს შეკითხვები:

უჩა ძიმისტარაშვილი: იქნება თუ არა გაუმჯობესებული დიპლომების ბეჭდვის ხარისხი და მეორე შეკითხვა, გაიზრდება თუ არა წელს დაფინანსება მაგისტრანტებისათვის?

შოთა მინდელი: სასწავლო დეპარტამენტი უნდა შეეცადოს დიპლომებთან დაკავშირებით ხარვეზების გამოსწორებას.

გიორგი ხუბუა: ამ დროისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აფინანსებს მაგისტრანტების მესამედს, რაც ძალიან მაღალი შედეგია.

გულნაზი გალდავა: ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს დაზარალებული სტუდენტებისთვის დახმარებას და შეღავათების გაწევას.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა დამანა მელიქიშვილმა ასევე ისაუბრა სასტამბო ხარჯებისა და პუბლიკაციების დაბეჭდვის პრობლემების შესახებ.

გაიმართა დისკუსია წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც წარმომადგენლობითი საბჭოს, ასევე აკადემიური საბჭოს წევრებმა.

აღნიშნულ საკითხზე გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც კანონმდებლობისა და თსუ-ს წესდების შესაბამისად მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 23

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 1

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2009 წლის ბიუჯეტი წარმოდგენილი სახით.

2. თსუ-ს ადმინისტრაციის სტრუქტურაში შესატანი ცვლილებები წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგინა ადმინისტრციის ხელმძღვანელმა გულნაზი გალდავამ. მან აღნიშნა, რომ 2009 წელს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მენეჯმენტის განხორციელების გაუმჯობესების მიზნით საჭიროა გარკვეული ცვლილებების შეტანა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურაში, სახელდობრ:

ა) დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდება:

აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი;

საგამოცდო ცენტრი;

საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრი;

ბ) მონიტორინგის სამსახურის ჩამოყალიბდება როგორც მონიტორინგის დეპარტამენტი;

გ) მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტში სამშენებლო-სარემონტო საექსპლუატაციო განყოფილების ნაცვლად შეიქმნება ექსპლუატაციის განყოფილება;

დ) კანცელარიას დაემატება კანცელარიის უფროსის მოადგილის საშტატო ერთეული;

ე) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შეიქმნება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური და გამოიყოფა 5 საშტატო ერთეული;

გაიმართა მსჯელობა წარმოდგენილი ცვლილებების პროქტთან დაკავშირებით. მოსაზრება გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კახაბერ ლორიამ და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა თამარ შოთაძემ, დამანა მელიქიშვილმა, გია ჟორჟოლიანმა, უჩა ძიმისტარიშვილმა, ცირა ბარამიძემ, რექტორმა გიორგი ხუბუამ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ჯამლეტ ჯანჯღავამ;

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უჩა ძიმისტარაშვილის მიერ დაისვა საკითხი, წარმოდგენილი ცვლილებებისთვის ცალ-ცალკე ეყარათ კენჭი, თუმცა აღნიშნული ინიციატივა კენჭისყრის შედეგად არ იქნა მხარდაჭერილი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე – 3;

წინააღმდეგი – 20;

თავი შეიკავა – 1;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სპიკერის მიერ კენჭისყრაზე დაისვა ადმინისტრაციის სტრუქტურაში შესატანი ცვლილებები წარმოდგენილი სახით:

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე – 23;

წინააღმდეგი – 1;

თავი შეიკავა – 0;

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს თსუ-ს ადმინისტრაციის სტრუქტურის ცვლილებები წარმოდგენილი სახით.

3. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გულნაზი გალდავამ განმარტა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენს ქ. თბილისში, ზანდუკელის ქ. №16-ში მდებარე შენობა-ნაგებობის უზუფრუქტუარს, სადაც ფუნქციონირებს თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა. მიზანშეწონილია ზემოთმითითებულ შენობაში არსებული ორი სხვადასხვა ფართის იჯარის ფორმით გაცემა კვების ობიექტის მოწყობის მიზნით.

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 85-ე მუხლის თანახმად, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უძრავი ქონების ან მისი ნაწილის შეძენა, გასხვისება ან იჯარით გაცემა, ასევე ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება ქონებასთან დაკავშირებით, თუ იგი სცილდება საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფარგლებს, შეიძლება მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანხმობით, კანონმდებლობით დადგენილი წესით."

აღინიშნა, რომ კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად საკითხი შეთანხმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, ასევე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ითხოვა თანხმობა, ქ. თბილისში, ზანდუკელის ქ. №16-ში არსებული 89.6 კვ.მ და 112 კვ.მ ფართების იჯარით გაცემაზე (სულ 201.6 კვ.მ) კვების ობიექტების მოწყობის მიზნით, რათა უზრუნველვყოთ დადგენილი წესის თანახმად კონკურსის გამოცხადება.

აღნიშნული საკითხი წარმომადგელობითი საბჭოს მიერ ერთხმად იქნა მხარდაჭერილი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე : 24

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

მიღებული გადაწყვეტილება:

გაიცეს თანხმობა ქალაქ თბილისში ზანდუკელის №16-ში ეკონომიკის საერთაშორისო სკოლისთვის კვების ობიექტის მოწყობის მიზნით ფართების (ჯამში 201.6) იჯარით გაცემის თაობაზე კონკურსის გამოცხადების მიზნით.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კახაბერ ლორიამ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2008 წლის 15 დეკემბრის №158 დადგენილება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო პოლიმერული მასალების ინსტიტუტის შექმნის შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე გაიმართა კენჭისყრა:

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე – 24;

წინააღმდეგი – 0;

თავი შეიკავა – 0;

გადაწყვეტილება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ერთხმად იქნა მიღებული.

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2008 წლის 15 დეკემბრის №158 დადგენილება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო პოლიმერული მასალების ინსტიტუტის შექმნის შესახებ.

5. წამომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კახაბერ ლორიამ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო პოლიმერების მასალების ინსტიტუტის დებულება.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საკითხის განხილვას ესწრება აკადემიური საბჭო, შესაბამისად,

საკითხის განხილვაში მონაწილეობდენ:

წარმომადგენლობითი საბჭო – 24 წევრით;
აკადემიური საბჭო – 5 წევრით;

აღნიშნულ საკითზე გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც კანონმდებლობისა და თსუ-ს წესდების შესაბამისად მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე – 24;
წინააღმდეგი – 0;
თავი შეიკავა – 0;

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო პოლიმერების მასალების ინსტიტუტის დებულება წარმოდგენილი სახით;

6. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კახაბერ ლორიამ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2008 წლის 26

დეკემბრის №156 დადგენილება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტების საბჭოს ფორმირების პროცედურასთან დაკავშირებით.

გამოითქვა ტექნიკური ხასიათის შენიშვნა მე-5 მუხლთან დაკავშირებით, კერძოდ, წინადადებას დაემატოს სიტყვა "როგორც" და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: "პროგრამული მიმართულების თითოეულ წევრს შეუძლია **როგორც** საკუთარი კანდიდატურის, ასევე სხვა კანდიდატურის დასახელება".

აღნიშნულ საკითხზე გაიმართა კენჭისყრა:

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე – 24;
წინააღმდეგი – 0;
თავი შეიკავა – 0;

გადაწყვეტილება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ერთხმად იქნა მიღებული.

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2008 წლის 26 დეკემბრის №156 დადგენილება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტების საბჭოს ფორმირების პროცედურასთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნის გათვალისწინებით.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი **კახაბერ ლორია**

სხდომის მდივანი **ნინო ლომოური**

პროექტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2009 წლის ბიუჯეტი

შემოსავლები	2009 წელი
სასწავლო გრანტიდან	9 200 700,00
ეკონომიკური საქმიანობიდან	10 150 500,00
სახელმწიფო ბიუჯეტიდან	3 600 000,00
2008 წლის გარდამავალი ნაშთი	3 200 000,00
სახელმწიფო (პრეზიდენტის) სტიპენდია	441 600,00
ჯამი	26 592 800,00

ეროვნული სამეცნიერო გრანტები გარდამავალი ნაშთის ჩათვლით	1 463 719,00
საერთაშორისო გრანტები გარდამავალი ნაშთის ჩათვლით	700 000,00

ევროპული კვლევების ინსტიტუტი გარდამავალი ნაშთის ჩათვლით	249 660,00

ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა	847 198,00
მ.შ. სწავლის ქირა გარდამავალი ნაშთის ჩათვლით	149 498,00
მ.შ. გრანტი	697 700,00

სულ შემოსავალი	29 853 377,00

2009 წლის ხარჯები

ასიგნებების დასახელება	ეკონომიკური კოდი	შტატი	2009 წელი
1			
სულ ასიგნებები (I+II)			29 561 155
მომუშავეთა რიცხოვნობა		1 425	
ძირითად შტატზე მომუშავე		1 425	
I ხარჯები	2		28 814 391
შრომის ანაზღაურება	21		13 898 407
ხელფასები	211		13 898 407
ხელფასები ფულადი ფორმით	2111		13 898 407
თანამდებობრივი სარგო	21111		13 598 407
მ.შ. აკადემიური პერსონალი		792	9 101 007
მ.შ. ადმინისტრაციული და სხვა მომსახურე პერსონალი		633	4 497 400
მ.შ. პრემია (რექტორის ფონდი)	21113		100 000
მ.შ. ადმინისტრაციის რეფორმირების ფონდი-დანამატი	21116		200 000
საქონელი და მომსახურება	22		13 383 721
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	221		7 199 397
მ.შ. აკადემიური პერსონალი(კონტრაქტები)			1 917 493
მ.შ. ადმინისტრაციული და სხვა მომსახურე პერსონალი(კონტრაქტები)			2 315 972
მ.შ. ენების ცენტრი (კონკურსით)			1 099 550
მ.შ. აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრი			100 000
მ.შ.ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა			282 915
მ.შ. ევროპული კვლევების ინსტიტუტი			103 189
მ.შ. საერთაშორისო გრანტები			375 000
მ.შ. ეროვნული სამეცნიერო გრანტების			1 005 278
მივლინებები	222		777 302
მ.შ. მივლინება- აკადემიური, ადმინისტრაციული და სხვა მომსახურე პერსონალის			662 302
მ.შ. მივლინება- სტუდენტების			115 000
ოფისის ხარჯები	223		3 250 075
მ.შ.საკანცელარიო საქონელის (საწერი-სახაზავი, ქაღალდის და ანალოგიური მასალების) შეძენის ხარჯები.			262 058

ასიგნებების დასახელება	ეკონომიკური კოდი	შტატი	2009 წელი
მ.შ.საბუღალტრო საქონლის,საკანცელარიო წიგნების,ოფისისათვის ნორმატიული აქტების,საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების, ბიულეტინების და სხვათა შეძენის და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო ხარჯები (არაძირითადი საქმიანობის)			30 000
მ.შ. საოფისე ტექნიკის, ინვენტარის და მოწყობილობის შეძენის და დამონტაჟების ხარჯები(არაძვირადღირებული და ხანგრძლივი მოხმარების)			231 617
მ.შ.ოფისისათვის სანიტარული საგნების და საჭირო მასალების შეძენის ხარჯები.			266 000
მ.შ. შენობა-ნაგებობების და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯები;(კერძოდ ძირითადი აქტივების სამუშაო მდგარეობაში შენახვისა და დაზიანების შემთხვევაში შეკეთების მიზნით გაწეული ხარჯები)			409 200
მ.შ.კავშირგაბმულობის ხარჯები: შიდასაქალაქო, საქალაქათაშორისო და მობილური ტელეფონით, სპეციალური კავშირებით და კავშირგაბმულობის სხვა საშუალებებით სარგებლობისათვის, ყოველგვარი საფოსტო, მ.შ. ამანათების, დეპეშების,ფულადი და სხვა სახის გზავნილები, ფაქსი და ინტერნეტი.			287 600
მ.შ. ელექტროენერგიის ხარჯი			534 000
მ.შ. წყლის-კანალიზაციისა და აგრეთვე აღნიშნულთან დაკავშირებით გაყვანილობების და დანადგარების შენახვისა და მათი მიმდინარე შეკეთების ხარჯები.			717 000
მ.შ. გათბობის მიზნით საწვავის და სხვა ნედლეულის შეძენის ხარჯები.			462 600
მ.შ. შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-დასუფთავების ხარჯები.			50 000
წარმომადგენლობითი ხარჯები	224		316 000
მ.შ. მიღებების, წვეულებებისა და სხვა ღონისძიებებისათვის (პრეზენტაციები, ოფიციალური სადილები)			133 000
მ.შ. საექსკურსიო და კულტურულ სანახაობათა ღონისძიებების ხარჯები			26 000
მ.შ. სუვენირების შეძენის ხარჯები			67 000
მ.შ. სტუმრების მომსახურეობის უზრუნველყოფის ხარჯები(ვიზების გაფორმება-გაგრძელება, აეროპორტში დახვედრა-გაცილება, სასტუმროს მომსახურეობა)			40 000
მ.შ. უცხოეთში მოღვაწე პროფესორების მოწვევის ხარჯები			50 000
რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები	227		20 000

ასიგნებების დასახელება	პროგრამული კოდი	ტარიფი	2009 წელი
მ.შ. პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები			5 000
მ.შ. უნიფიცირებული ფორმის, სპორტული ფორმის და შესაბამისი არჭურვილობის.			10 000
მ.შ.ხალიჩების, ფარდაგების, ფარდების და სხვა ანალოგიური საქონლის შეძენის და გადაკეთების ხარჯები			5 000
ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	228		150 000
მ.შ. ტრანსპორტის და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა შენახვის, მიმდინარე რემონტის, სათადარიგო ნაწილების და არაძვირადღირებული ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების შეძენის ხარჯები.			40 000
მ.შ.საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯები			100 000
მ.შ.ტრანსპორტის დაქირავების ხარჯები.			10 000
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2210		1 670 947
მ.შ. ბანკის მომსახურების ხარჯები			17 497
მ.შ. კადრების მომზადებასთან, გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯები.			10 000
მ.შ. რეკლამის ხარჯები			57 000
მ.შ. სამეცნიერო ხარჯები(საცდელი მაკეტების და ლაბორატორიული სტანდარტების, რეაქტივების, ქიმიკატების, სამეცნიერო მიზნით სხვა საქონლის შეძენის ,აგრეთვე სამეცნიერო შრომების და გრიფირებული სახელმძღვანელოების გამოცემის, რუქების,სქემების ესკიზების და სხვა არაძვირადღირებული სამეცნიერო ხასიათის საქონლის შეძენა)			30 000
მ.შ. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებული ხარჯები.			55 000
მ.შ. სამეცნიერო ექსპედიციები			43 000
მ.შ. დიპლომების, ჩათვლის წიგნაკების. სტუდენტთა ბილეთების. სასტამბო და შეძენის ხარჯები			30 000
მ.შ. შენობა-ნაგებობების დაცვისა და სახანძრო დაცვის მომსახურების ხარჯები			5 000
მ.შ. შენობის პასპორტიზაციასთან და ძირითადი საშუალებების ტექნიკურ ინვენტარიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები.			10 000
მ.შ. წარმოებული აქტივების (ძირითადი აქტივების, მატერიალური მარაგების და ფასეულობების) იჯარასა და ქირასთან დაკავშირებულ ხარჯები.			80 000
მ.შ. გამომცემლობისა და სასტამბო ხარჯები			412 000

ასიგნებების დასახელება	ეკონომიკური კოდი	შტატი	2009 წელი
მ.შ. ბიბლიოთეკისათვის და მუზეუმისათვის წიგნებისა და სამუზეუმო ექსპონანტების რესტავრაციის ხარჯები.			5 000
მ.შ.სპორტული, კულტურული და საიუბილეო ღონისძიებები			160 000
მ.შ. ნიჭიერ სტუდენტთა წახალისების ფონდი			350 135
მ.შ. სამეცნიერო და ფაკულტეტების ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი			260 000
მ.შ.ხარჯები რომლებიც არ არის კლასიფიცირებული საქონლისა და მომსახურეობის სხვა მუხლებში.			146 315
სოციალური უზრუნველყოფა	27		20 000
დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	273		20 000
ფულადი ფორმით	27311		20 000
სხვა ხარჯები	28		1 512 263
სხვადასხვა ხარჯები	282		1 512 263
მიმდინარე	2821		1 512 263
მ.შ.ქონების გადასახადი			130 000
მ.შ.მოგების გადასახადი			400 000
მ.შ.დაზღვევის ხარჯები			260 000
მ.შ.სტიპენდია			506 100
მ.შ.სტიპენდია(უცხოელ სტუდენტებს გაცვლითი პროგრამა)			50 000
მ.შ.თიბილოვის კურსდამთავრებულის სტიპენდია			166 163
II არაფინანსური აქტივები	31		746 764
ძირითადი აქტივები	311		746 764
შენობა-ნაგებობები	3111		200 000
არასაცხოვრებელი შენობები	31112		200 000
მ.შ. შენობა-ნაგებობების კაპიტალური რემონტი(არსებული აქტივების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება,რაც ზრდის მათ საწარმოო სიმძლავრეს, ახანგრძლივებს სასიცოცხლო ციკლს ან ორივეს ერთად)			200 000
მანქანა-დანადგარები	3112		496 764
სხვა მანქანა-დანადგარები	31122		496 764
მ.შ. კომპიუტერული მოწყობილობები			400 764
მ.შ. ელექტრო მოწყობილობები			40 000
მ.შ. ავეჯი			56 000
სხვა ძირითადი აქტივები	3113		50 000
არამატერიალური ძირითადი აქტივები	31132		50 000
მ.შ. კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა (რომელთა მოხმარება ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობით არის მოსალოდნელი)			50 000
გარდამავალი ნაშთი			**292 222**
ბალანსი			292 222

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 113/01/02-04-02 "24" 12 2008 წ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობით საბჭოს

მოგახსენებთ, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენს ქ. თბილისში, ზანდუკელის ქ. №16-ში მდებარე შენობა-ნაგებობის უზუფრუქტუარს, სადაც ფუნქციონირებს თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა. გადაწყვეტილი გვაქვს ზემოთმითითებულ შენობაში არსებული ორი სხვადასხვა ფართის იჯარის ფორმით გაცემა კვების ობიექტის მოწყობის მიზნით.

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 85-ე მუხლის თანახმად, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უძრავი ქონების ან მისი ნაწილის შეძენა, გასხვისება ან იჯარით გაცემა, ასევე ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება ქონებასთან დაკავშირებით, თუ იგი სცილდება საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფარგლებს, შეიძლება მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანხმობით, კანონმდებლობით დადგენილი წესით."

გაცნობებთ, რომ კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად საკითხი შეთანხმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, ასევე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან.

ზემოადნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ თქვენს თანხმობას ქ. თბილისში, ზანდუკელის ქ. №16-ში არსებული 89.6 კვ.მ და 112 კვ.მ ფართების იჯარით გაცემაზე (სულ 201.6 კვ.მ) კვების ობიექტების მოწყობის მიზნით, რათა უზრუნველვყოთ დადგენილი წესის თანახმად კონკურსის გამოცხადება.

წინასწარ გიხდით მადლობას.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გულნაზ გალდავა

ჭავჭავაძის გამზ. 1, 0128 თბილისი, საქართველო
http://www.tsu.ge; usc@tsu.ge

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 114/01/02-04-10 "25" 12 2008 წ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

2009 წელს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მენეჯმენტის განხორციელების გაუმჯობესების მიზნით საჭირო გახდა გარკვეული ცვლილებების შეტანა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურაში. სახელდობრ:

1. დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულებად ჩამოყალიბდება:

   აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი;

   საგამოცდო ცენტრი;

   საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრი.

2.მონიტორინგის სამსახური ჩამოყალიბდება როგორც მონიტორინგის დეპარტამენტი;

3.მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტში სამშენებლო-სარემონტო საექსპლუატაციო განყოფილების ნაცვლად შეიქმნება ექსპლუატაციის განყოფილება;

4. კანცელარიას დაემატება კანცელარიის უფროსის მოადგილის საშტატო ერთეული;

5. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე:

   შეიქმნება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;

   გამოიყოფა მასწავლებლის 5 საშტატო ერთეული.

გთხოვთ, საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" მე-18 მუხლის „ზ"პუნქტის თანახმად , აღნიშნული ცვლილებების დამტკიცებას წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გ. გალდავა

ჭავჭავაძის გამზ. 1, 0128 თბილისი, საქართველო
http://www.tsu.ge; usc@tsu.ge
ფაქსი +995 32 223501

დამტკიცებულია თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს

გადაწყვეტილებით (სხდომა №17, 29.12..2008);

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი – ვახტანგ ლორია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო პოლიმერული მასალების ინსტიტუტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო პოლიმერული მასალების ინსტიტუტი (შემდგომში ინსტიტუტი) წარმოადგენს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) საუნივერსიტეტო მნიშვნელობის სტრუქტურულ ერთეულს.

1.2. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და ამ დებულებით.

1.3. ინსტიტუტს აქვს ბლანკი და საბანკო ქვეანგარიში.

1.4. ინსტიტუტი განთავსებულია უნივერსიტეტის №11 კორპუსში 414 m^2, მისამართზე: უნივერსიტეტის ქ. № 3, 0179 თბილისი.

მუხლი 2. ინსტიტუტის საქმიანობის საგანი და მიზნები

2.1. ინსტიტუტის საქმიანობის ძირითადი საგანია:

- ✓ ახალი ბიოსამედიცინო დანიშნულების პოლიმერების სინთეზი, მათ საფუძველზე ქირურგიული და ფარმაკოლოგიური მასალების/პრეპარატების შექმნა და პრაქტიკაში დანერგვა. როგორც CRDF-RESC ცენტრი ინსტიტუტის საქმიანობის საგანია საქართველოს სხვა კვლევითი ცენტრების მომსახურება კომერციულ საწყისზე CRDF-ის გრანტით შეძენილი ხელსაწყოების გამოყენებით.

2.2. ინსტიტუტის მიზნებია:

- ✓ მოამზადოს მაღალკვალიფიციური კადრები ბიოსამედიცინო პოლიმერების/მასალების დარგში, რომლებიც შექმნიან და განავითარებენ საქართველოში

ქირურგიული და ფარმაკოლოგიური პოლიმერული მასალების/პრეპარატების წარმოების ახალ დარგს.

- ✓ შეიმუშავოს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, კომპლექსური საუნივერსიტეტო კვლევითი პროგრამები უნივერსიტეტის სხვა დარგების სპეციალისტების (მორფოლოგების, ციტოლოგების, ექიმების და სხვ.) მონაწილეობით და პრაქტიკაში დანერგოს ამ კომპლექსური კვლევის შედეგად მიღებული ახალი ბიოსამედიცინო მასალები.
- ✓ შექმნას მცირე (პილოტური) საწარმოო ბაზა.
- ✓ ხელი შეუწყოს ბაკალავრიატის სტუდენტების საკვლევ-საწარმოო პრაქტიკას.
- ✓ დაამყაროს კონტაქტები საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან, შეიმუშავოს ერთობლივი პროექტები და მოიზიდოს გრანტები, განახორციელოს ამ უნივერსიტეტებსა და ცენტრებში სტუდენტების ხანგრძლივი მივლინება.
- ✓ დაამყაროს კავშირი ადგილობრივ და საზღვარგარეთის ქიმიურ, ფარმაცევტულ და ბიოტექნოლოგიურ კომპანიებთან.

მუხლი 3. ინსტიტუტის პერსონალი

3.1. ინსტიტუტის პერსონალი შედგება: მმართველი რგოლის (დირექტორი, დირექტორის მოადგილე) და სხვა პერსონალისაგან.

3.2. ინსტიტუტის პერსონალის უფლება–მოვალეობები და თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების პირობები განისაზღვრება ინსტიტუტის დირექტორის მიერ და მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად დასამტკიცებლად წარედგინება თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

მუხლი 4. ინსტიტუტის სტრუქტურა და მართვა

4.1. ინსტიტუტის სამეცნიერო და საორგანიზაციო-ადმინისტრაციულ საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც ინიშნება თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ.

4.2. ინსტიტუტის სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხები განიხილება ინსტიტუტის სემინარზე და საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ინსტიტუტის დირექტორი;

4.3. ინსტიტუტის მიზნებისა და საქმიანობის შესაბამისად შეიძლება ინსტიტუტის ფარგლებში შეიქმნას ან გაუქმდეს ქვედანაყოფები (ლაბორატორიები, განყოფილებები, საწარმო და სხვა).

მუხლი 5. ინსტიტუტის დირექტორი.

5.1 ინსტიტუტის დირექტორი:

ა) უზრუნველყოფს ინსტიტუტში კვლევების ეფექტიან წარმართვას;

ბ) უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს განსახილველად წარუდგენს ინსტიტუტის განვითარების გეგმას, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

დ) ამ დებულების შესაბამისად პასუხისმგებელია ინსტიტუტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე;

ე) შეიმუშავებს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის ბიუჯეტის პროექტს;

ვ) ხელმძღვანელობს სამეცნიერო და საორგანიზაციო ანგარიშების შედგენას;

ზ) უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით დასვას საკითხი თანამშრომელთა მიმართ წახალისებისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომების გამოსაყენებლად;

თ) საკუთარი უფლებამოსილების ვადით ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის შემადგენლობიდან უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დასანიშნად წარუდგენს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის კანდიდატურას;

ი) უნივერსიტეტის რექტორის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირებთან ურთიერთობაში და დებს ხელშეკრულებებს;

კ) ახორციელებს ამ დებულებითა და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

5.3. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში დირექტორის მოვალეობას მისივე დავალებით ასრულებს დირექტორის მოადგილე.

5.5. დირექტორს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლისას;

გ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარებისას;

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

მუხლი 6. ინსტიტუტის ქონება და საფინანსო სამეურნეო საქმიანობა

6.1. ინსტიტუტი აღჭურვილია CRDF-ის გრანტით შეძენილი კვლევებისათვის საჭირო ხელსაწყოებით და ამავდროულად წარმოადგენს CRDF-ის RESC (Regional Experiment Support Center) რეგიონულ ცენტრს.

6.2. ინსტიტუტის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

ა) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
ბ) გრანტებით მიღებული შემოსავალი;
გ) შემოწირულობები;
დ) უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

6.3. ინსტიტუტი სარგებლობს უნივერსიტეტის მიერ ინსტიტუტისათვის გამოყოფილი სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობისათვის აუცილებელი მოძრავი და უძრავი ქონებით. ინსტიტუტი პასუხისმგებელია ამ ქონების დაცვაზე.

6.4. ინსტიტუტის ბიუჯეტი განისაზღვრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ. გრანტების მიღების შემთხვევაში ინსტიტუტის ბიუჯეტს ემატება გრანტის ბიუჯეტი. ასეთ შემთხვევაში გრანტის წლიური ბიუჯეტის (რომელიც ყალიბდება overhead-ის გამოკლებით) 30 % ოდენობის თანხა უბრუნდება უნივერსიტეტს, ანუ თანხა, რომელიც იანგარიშება ფორმულით:

$$\frac{[(GB - overhead) : n] \times 30}{100}$$

სადაც: GB არის გრანტის ბიუჯეტი ლარებში ან სხვა უცხოურ ვალუტაში, n არის გრანტის ხანგრძლივობა წლებში.

და არ იქნება საუნივერსიტეტო ბიუჯეტზე მეტი.

უნივერსიტეტი უკან იბრუნებს ასევე თანხას, რომელიც შეესაბამება გრანტის overhead-ს (გრანტის ბიუჯეტის 5-10%, განისაზღვრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებით, კონკრეტული პერიოდისათვის ინსტიტუტის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით).

ინსტიტუტის კომერციული საქმიანობით მოზიდული თანხის 50% მოხმარდება ინსტიტუტის განვითარებას.

6.5. ინსტიტუტის საქმიანობით მოზიდული სახსრებს განკარგავს ინსტიტუტის დირექტორი უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით.

6.6. ინსტიტუტის მიერ მოზიდული სახსრებით შეძენილ ქონებას მართავს ინსტიტუტის დირექტორი თსუ-ს ადმინისტრაციასთან შეთანხმებით;

6.7. CRDF-ის გრანტით შეძენილი ხელსაწყო-დანადგარები წარმოადგენს CRDF-ის საკუთრებას.

მუხლი 7. ინტელექტუალური საკუთრება.

7.1. ინტელექტუალური საკუთრებაზე "პირველი უარის უფლება" ეკუთვნის უნივერსიტეტს. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას წარედგინება გამოგონება. 3 თვის შემდეგ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ გამოგონების დაპატენტებაზე დადებითი გადაწყვეტილების არ მიღების შემთხვევაში, ინტელექტუალური საკუთრება გადადის ავტორთა საკუთრებაში და მათ აქვთ უფლება დააპატენტონ და განკარგონ ეს გამოგონება.

7.2. კერძო კომპანიის დაკვეთით შესრულებული კვლევის შედეგად მიღებული ინტელექტუალური საკუთრება ეკუთვნის დამკვეთს. ინტელექტუალური საკუთრების (ნოუ ჰაუ, პატენტები) გაყიდვიდან უნივერსიტეტს/ინსტიტუტს ეკუთვნით თანხა (გაყიდვების 10-50%), რომელიც დაზუსტდება კერძო კომპანიასთან მოლაპარაკებით/ხელშეკრულებით. ინსტიტუტის მიერ შემუშავებული ნოუ ჰაუს ან პატენტის საფუძველზე მიღებული პროდუქციის გაყიდვებიდან უნივერსიტეტს/ინსტიტუტს ეკუთვნით როიალტი (1-5%), რომელიც დაზუსტდება კერძო კომპანიასთან მოლაპარაკებით/ხელშეკრულებით.

7.3. უნივერსიტეტის კუთვნილი პატენტის, ინსტიტუტში მიღებული ნოუ ჰაუს ან მისი დანერგვით წარმოებული პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული მოგების (როიალტის) 50% მოხმარდება ინსტიტუტის განვითარებას.

მუხლი 8. ინსტიტუტის ლიკვიდაცია.

8.1. ინსტიტუტის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობისა და თსუ-ს წესდების შესაბამისად.

მუხლი 9. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი.

9.1. ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად.

მუხლი 10. დებულების ძალაში შესვლის წესი

10.1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის მისი თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე.

დამტკიცებულია თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს
გადაწყვეტილებით (სხდომა №17, 29.12..2008);

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი – კახაბერ ლორია

I. განისაზღვროს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტების საბჭოების ფორმირების პროცედურა:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის საბჭოს წევრთა არჩევნებს ნიშნავს რექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.
2. რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი ფაკულტეტის საბჭოს წევრთა არჩევნების შესახებ უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი და საჯარო გაცნობის მიზნით გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას.
3. ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალი აირჩევა ფაკულტეტებზე არსებული პროგრამული მიმართულებების პროფესორების რაოდენობის გათვალისწინებით.
4. ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორი.
5. ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები აირჩევიან შესაბამისი პროგრამული მიმართულების პროფესორთა კრებაზე ღია კენჭისყრით. პროფესორთა კრება ირჩევს თავმჯდომარესა და მდივანს. კენჭისყრის შედეგები ჯამდება სათანადო ოქმით (დანართი #1). კანდიდატების დასახელება ხდება კრებაზე. პროგრამული მიმართულების თითოეულ წევრს შეუძლია როგორც საკუთარი კანდიდატურის, ასევე სხვა კანდიდატურების დასახელება. ყოველ კანდიდატს კენჭი ეყრება ინდივიდუალურად. უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატი ხდება ფაკულტეტის საბჭოს წევრი. თანაბარი ხმების მიღების შემთხვევაში ტარდება განმეორებითი კენჭისყრა.
6. ფაკულტეტის საბჭოს წევრად არჩეული აკადემიური პერსონალის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილი ვადის შესაბამისად. აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილი ვადის გასვლის ან აკადემიური თანამდებობის ვადაზე ადრე დატოვების შემთხვევაში პირს უწყდება ფაკულტეტის საბჭოს წევრის სტატუსი. ფაკულტეტის საბჭოს ვაკანტური ადგილის დასაკავებლად იმართება განმეორებითი არჩევნები ამ დადგენილებით განსაზღვრული პროცედურების დაცვით.

II. თსუ ფაკულტეტების საბჭოს წევრთა რაოდენობა განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი - 80 წევრი (20 სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელი და პროგრამული მიმართულებებიდან არჩეული 60 პროფესორი – მათ შორის 20 ეკონომიკის მიმართულებით და 40 ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით);

- მედიცინის ფაკულტეტი - 40 წევრი (10 სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელი და პროგრამული მიმართულებებიდან არჩეული 30 პროფესორი – მათ შორის – 7 თერაპიის მიმართულებით, 9 ქირურგიის მიმართულებით, 3 ნეირომედიცინის მიმართულებით, 2 დიაგნოსტიკური მედიცინის მიმართულებით, 4 თეორიული მედიცინის მიმართულებით, 2 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით, 3 სტომატოლოგიის მიმართულებით);

- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი - 80 წევრი (20 სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელი და პროგრამული მიმართულებებიდან არჩეული 60 აკადემიური პერსონალი – მათ შორის 11 კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებით, 13 მათემატიკის მიმართულებით, 9 ფიზიკის მიმართულებით, 7 ქიმიის მიმართულებით, 9 ბიოლოგიის მიმართულებით, 6 გეოგრაფიის მიმართულებით, 3 გეოლოგიის მიმართულებით, 2 ელექტრონიკის მიმართულებით);

- სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 80 წევრი (20 სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელი და პროგრამული მიმართულებებიდან არჩეული 60 აკადემიური პერსონალი – მათ შორის 21 ფსიქოლოგიის მიმართულებით, 12 ჟურნალისტიკის მიმართულებით, 8 საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებით, 8 პოლიტიკური მეცნიერებების მიმართულებით, 6 სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულებით, 5 საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით);

- იურიდიული ფაკულტეტი – 65 წევრი (20 სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელი და პროგრამული მიმართულებებიდან არჩეული 45 აკადემიური პერსონალი – მათ შორის: 3 სამართლის ისტორიის მიმართულებით, 6 კონსტიტუციური სამართლის მიმართულებით, 3 ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით, 6 საერთაშორისო სამართლის მიმართულებით, 15 კერძო სამართლის მიმართულებით, 3 სამართლის მეთოდების მიმართულებით, 9 სისხლის სამართლის მიმართულებით).

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი – 80 წევრი (20 სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელი და პროგრამული მიმართულებებიდან არჩეული 60 აკადემიური პერსონალი – მათ შორის 9 ისტორიის მიმართულებით, 1 არქეოლოგიის მიმართულებით, 1 ეთნოლოგიის მიმართულებით, 1 კულტურის მეცნიერებების მიმართულებით, 1 ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით, 14 ქართული ფილოლოგიის მიმართულებით, 4 კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტიური ფილოლოგიის მიმართულებით, 1 ახალი ბერძნული ფილოლოგიის მიმართულებით, 3 ინგლისური ფილოლოგიის მიმართულებით, 3 გერმანული ფილოლოგიის მიმართულებით, 2 რომანული ფილოლოგიის მიმართულებით, 2 აღმოსავლეთმცოდნეობა – არაბისტიკის მიმართულებით, 2 აღმოსავლეთმცოდნეობა-ირანისტიკის მიმართულებით, 2 აღმოსავლეთმცოდნეობა-თურქოლოგიის მიმართულებით, 1 აღმოსავლეთმცოდნეობა-არმენოლოგიის მიმართულებით, 1 აღმოსავლეთმცოდნეობა ებრაისტიკა-არამეისტიკის მიმართულებით, 1

აღმოსავლეთმცოდნეობა-ასირიოლოგიის მიმართულებით, 2 რუსული ფილოლოგიის მიმართულებით, 1 კავკასიოლოგიის მიმართულებით, 3 ხელოვნება და ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულებით, 3 ფილოსოფიის მიმართულებით, 2 განათლების მეცნიერებების მიმართულებით).